ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 116

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თელავი 30 აგვისტო, 2019 წელი

ერთი მხრივ, შ.პ.ს. ,,თეგეტა მოტორსი'' (შემდგომში – „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის მიხეილ ვაშაკიძის (ბრძანება #152; გაცემული 2019 წლის 01 ივლისს, შპს „თეგეტა მოტორსის“ გენერალური დირექტორის ავთანდილ წერეთლის მიერ) სახით, და მეორეს მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „გურჯაანის მუნიციპალური სერვისი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის **თამაზ აბრამიშვილის** სახით, `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონისა და `სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის მეთოდით აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: CPV 34300000; 34330000 ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის.

2. ხელშეკრულების ღირებულება და მიწოდების პირობები

2.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 90 (ოთხმოცდაათი) ლარს.

2.2. მიწოდებული საქონლის საერთო ღირებულება შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ–ს.

2.3. საქონლის მიწოდებას „მიმწოდებელი“უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, „მიმწოდებლის“ სერვისცენტრებში.

3. ანგარიშსწორება

მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა, „მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებული საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

4.2.„შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „მიმწოდებელს“ მიწოდებული საქონლის სრული ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და ვადაში.

4.3. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განახორციელოს შესყიდვის ობიექტის ინსპექტირება.

5. პირგასამტეხლო

5.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყველა ვადაგადაცილებულ დღეზე ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

6. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

6.1.საქონლის მიღება დასტურდება საგადასახადო დოკუმეტაციით. ასევე, „მხარის“ მოთხოვნის საფუძველზე, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტით, რომელიც ადასტურებს საქონლის გადაცემას „მიმწოდებლის“ მიერ „შემსყიდველისათვის“ და „შემსყიდველის“ მიერ მის მიღებას.

6.2. მიღება–ჩაბარების აქტი ფორმდება საქონლის ფაქტობრივად მიწოდებისთანავე.

<u>7. ხელშეკრულების ინსპექტირება:</u>

7.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

7.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლსა და ზედამხედველობას განახორციელებს ააიპ „გურჯაანის მუნიციპალური სერვისის“ განყოფილების უფროსი ნიკა მურაკაშვილი.

8.ფორს – მაჟორი

8.1.ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2.ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს–მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3.ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი გახდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარესწერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1.ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

9.2.თუ, ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

10.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულენაზეორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ხოლო მეორე „შემსყიდველთან“.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი“
ს/კ: 202177205
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ. N5
სს. ,,თიბისი ბანკი''
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE80TB0600000024467853
ტელ: 226 44 44
სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის

„შემსყიდველი“:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
„გურჯაანის მუნიციპალური სერვისი“
ს/კ: 227771818
მის: ქ. გურჯაანი, ნონეშვილის გამზირი N4
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ტელ: 591-41-75-75
დირექტორი

განყოფილების უფროსი
მიხეილ ვაშაკიძე

Tegeta Motors LLC
2019.08.30
16:49:05 +04'00'

თამაზ აბრამიშვილი

Gurjaani
Municipal
Service

Digitally signed
by Gurjaani
Municipal Service
Date: 2019.08.30
15:25:12 +03'00'